დასაქმება ტურიზმის სფეროში

მურმან ბლიაძე
სტუ-ს პროფესორი

მურმან ბლიაძე
სტუ-ს მაგისტრი

რეზიუმე

ტურიზმის ნებისმიერ სამსახურში თქვენი მომავალი საქმიანობა მოიცავს ხალხის მომსახურებას, სამუშაოზე მიღება შესაძლებელია სხადსახვა წყაროებიდან კერძოდ შესაძლებელია სამსახურში მიღების შესახებ დაფაზე გამოიკრას განცხადება , ვაკანტური ადგილის შესახებ ან გამოქვეყნდეს ინტერნეტ გვერდზე, რომელიმე გაზეთის გვერდზე განთავსდეს განცხადება და ბოლოს პიროვნული კონტაქტის საშუალებით.

მხოლოდ გამოცხადება და სამსახურის თხოვნა არ არის საკმარისი, საჭიროა სპეციალური გასაუბრებების გავლა, სამსახურში მიღებისას და გასაუბრებისას ყველა მნიშვნელოვან საკითხთნ ერთად ყურადღება ექცევა ადამიანის ესთეტიკურ სახესაც.

დამსაქმებელი ძირითადად ეძებს ისეთ თანამშრომლებს, რომლებიც ფიქრობენ ხანგრძლივ კარიერაზე და არა სარფიან შემოთავაზებებზე ამასთანავე ყურადღება ექცევა ადამიანის უნარ-ჩვევებს და სურვილს შეუერთდნენ კომპანიის მომსახურების სტრატეგიას. დასაქმების დროს მფლობელი აუცილებლად ითვალისწინებს მოგებას ბიზნესში,

ძირითადი ტექსტი

ნებისმიერ სამსახურში, რა თანამდებობაც არ უნდა დაიკავო თავდაპირველად ყურადღება უნდა მიაქციოთ თუ როგორ არის სხვადასხვა ოპერაციები. ორგანიზებული ე.ი. ყურადღება მიაქციეთ, როგორც მენეჯერულ ორგანიზაციას, ასევე ფიზიკურ ორგანიზაციას.

მენეჯერულ ორგანიზაციაში თუ ერკვევით მაშინ თქვენ უნდა იცოდეთ ვინ არის ორგნიზაციის უფროსი, ვინ მუსაობს მასთან, ვინ აბარებს ანგარიშს, ვის აბარებენ ანგარიშს განყოფილების თანამშრომლები და სხვა.

ფიზიკური გეგმა არ ითვალისწინებს მთავარ სამუშაო ადგილს და აღჭურვილობის მთავარ ნაწილს. შემდეგ კი ყუურადღება მიაქციეთ თუ რამ შეიძლება შექმნას პრობლემა.თქვენი მარტივი დაკვირვებები ხშირ შეკთხვევაში გაპოვნინებთ სამუშაო მოდელის გაუმჯობესების გზებს.

ტურიზმის ნებისმიერ სმსახურში თქვენი მომავალი საქმიანობა მოიცავს ხალხის მომსახურბას, ამიტომ თქვენი საქმიანობიდან გამომდინარე შეგეძლებათ კრიტიკულად დააკვირდეთ მენეჯერის სტუმრებთან ან კლიენტებთან ურთიერთობას და თუ პრობლემა წამოიჭრა საკუთარ თავს უნდა შეეკითხოთ რა გზით შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება .

სამუშაოზე მიღება შსაძლებელია სხადსახვა წყაროებიდან კერძოდ შესაძლებელია სამსახურში მიღბის შესახებ დაფაზე გამოიკრას განცხადება , ვაკანტური ადგილის შესახებ ან გამოქვეყნდეს ინტერნეტ გვერდზე, რომელიმე გაზეთის გვერდზე განთავსდეს განცხადება და ბოლოს პიროვნული კონტქტის საშუალებით.

მხოლოდ გამოცხადება და სამსახურის თხოვნა არ არის საკმარისი, საჭიროა სპეციალური გასაუბრებების გავლა, სამსახურში მიღებისას და გასაუბრებისას ყველა მნიშვნელოვან სკითხთნ ერთად ყურადღება ექცევა ადამიანის ესთეტიკურ სახესაც.

დამსაქმებელი ძირითადად ეძებს ისეთ თანამშრომლებს, რომლებიც ფიქრობენ ხანგრძლივ კარიერაზე და არა სარფიან შემოთავაზებებზე ამასთანავე ყურადღება ექცევა ადამიანის უნარ-ჩვევებს და სურვილს შეუერთდნენ კომპანიის მომსახურების სტრატეგიას.

ცნობილია, რომ განათლებული, გამოცდილი მომხმარებელი დიდ ყურადღებას ანიჭებს საქნონლისა და მომსახურების ღირებულებას და ფასს, რომელსაც იხდის ბაზარზე. მომხმარებელს შეუძლია მოითხოვოს მომსახურების მაღალი ხარისხი იმ ფასის სანაცვლოდ,

რომელსაც იხდის. მასპინძლობის ინდუსტრიის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა უკანასკნელ წლებში ტექნოლოგიების აფეთქებას უკავშირება, ტექნოლოგიებმა უკვე შეცვალეს სამუშაოს შესრულების პირობები ავტომატიზაციის და კომპიუტერიზაციის მეშვეობით. მარკეტინგული და მენეჯმენტის ცვლილებები შესაძლებელი გახდა ტექნოლოგიური წინსვლის წყალობით. კომუნიკაციის გაუმჯობესებისა და ფინანსური და ოპერატიული ანგარიშგების კომპიუტერიზაციის შედეგად, ორგანიზაციების იერარქია ინგრევა და ინტეგრირებული ორგანიზაციული სტრუქტურა წარმოიშობა.

დასაქმების დროს მფლობელი აუცილებლად ითვალისწინებს მოგებას ბიზნესში, რომელიც განიხილება ორი გზით: მოგების ნაწილს უხდიან მფლობელს ან აქციონერებს, როგორც დივიდენდებს (მათი ინვესტიცია ბიზნესში) მოგების ნაწილს ინარჩუნებს ბიზნესი, რათა უზრუნველყოს მომავალი წინსვლა ფულადი სახსრებით, მოგების იმ ნაწილს, რომელიც არ ნაწილდება აქციონერებში, ეწოდება წმინდა მოგება. წმინდა მოგებით შესაძლებელია განვსაზღვროთ სამუშაო გამოცდილების რეალური როლი კარიერის განვითარებაში.

როგორც ვხედავთ ტურიზმის მთავარი მიმართულებაა:

ა) სტუმრებმა კომფორტულად იგრძნონ თავი

ბ) ყველაფერი უნდა კეთდებოდეს სტუმრებისთვის

გ) მართვის პრცესი მიმართული უნდა იყოს, როგორც მომსახურების უზრუნველსაყოფად, ასევე ბიუჯეტის შესრულებისკენ.

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან ცნობილი ხდება რომ ტურიზმის საქმიანობა ვერ მიიღწევა განვითარების ახლანდელ მდგომარეობას თუ არ იარსებებდა შესაბამისი წინამძღვრები ეკონომიკური მეცნიერების სიღრმეში რომელმაც გმოიწვია შესაბამისი ცვლილებები, რომელსიც ძირითადად ევროპისა და ამერიკის ცალკეულ ქვეყნებში მიმდინარეობდა.

ჯერ კიდევ 60-70 წლებში განვითარებად ქვეყნებში გამოყემებული განვითარების მოდელი განსაზღვრული იყო ეკონომიკური ეფექტიანობის მიღწევაზე.აღსანიშნავია რომ მხოლოდ ეკონომიკური სისტემის ეფექტიანობას შეუძლია უზრუნველყოს კაცობრიობის საყოველთაო განვითარება მსოფლიოს მასშტაბით. ამასთანავე 80-იან წლებში საერთაშორისო ტურიზმის განვითარების ძირითადი ამოცანა გახდა ბუნებრივი გარემოს შენარჩუნება და დაცვა. ამდენად ტურიზმის განვითარების აუცილებლობისათვის საჭირო გახდა სამი ძირითადი შეხედულების გაერთიანება: ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიურის.

ეკონომიკური დასაბუთება – ტურიზმის განვითარების მისწრაფებას განიხილვს ერთობლივი შემოსავლის ნაკადის თეორიის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს, რომ შენარჩუნებული იქნას ერთობლივი კაპიტალი. ეს მიმართულება გულისხმობს შეზღუდული რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას და ეკოლოგიური, ბუნებრივი, ენერგეტიკული და მატერიალური ტექნოლოგიების გამოყენებას, მათ შორის ნედლეულის მოპოვება-გადამუშავება და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის შექმნა, წარჩინების გადამუშავება და განადგურება სოციალური შეხედულება – ტურიზმის განვითარება მიმართულია სოციალურ-კულტურული სტაბილურობის შენარჩუნებაზე და კომფლიქტების შემცირებაზე.

აღსანიშნავია, რომ სოციალური საკითხების გადაწყვეტის მნიშვნელოვანმა გააზრებამ საფუძველი ჩაუყარა რომის კლუბის ჩამოყალიბებას და განვითარების მიმართულებების წარმოშობას.

მსოფლიო საზოგადოების თითოეულ წევრს შორის რესურსების და შესაძლებლობათა სამართლიანი გადანაწილების გარეშე ტურიზმის განვითარება საერთოდ შეუძლებელია. ე.ი. მსოფლიოს ყველა მოქალაქისათვის ღირსეული ცხოვრებისა და კეთილდღეობის მიღწევა მსოფლიოს თანამეგობრობის უმთავრესი მიზანი უნდა გხდეს.

ეკოლოგიური მიმართულება – ამ გადასახედიდან ეკოლოგიურმა მდგომარეობამ უნდა უზრუნველყოს ბიოლოგიური და ფიზიკური სისტემების მთლიანობა, დიდი მნიშვნელობა აქვს ეკოსისტემის სიცოცხლის – უნარიანობას, რომელზედაც მთელი ბიოსისტემის გლობალური სტაბილურობაა დამოკიდებული.

აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ტურიზმის განვითარება შესაძლებელი იქნება – ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური მიზნების განხორციელების შესაბამის

პირობებში, რომელიც შემდგომ უზრუნველყოფს ადგილობრივი საზოგადოების დაინტერესების, რომლებიც შემდგომ მოახდენენ ეკოლოგიური ტურისტული ობიექტების, ინფრასტრუქტურის მშენებლობისათვის ტექნოლოგიების შერჩევას და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შენარჩუნებას. ამასთანავე გაუფრთხილდებიან იმ ადგილებს (ტერიტორიებს) რომლრბიც სპეციალურად ტურიზმის განვითარებისათვისაა გამოყოფილი (რეკრეაციული, საკურორტო, ქალაქების მწვანე ზონები) ეროვნული პარკები და სხვა.

საერთაშორისო ტურიზმის ერთ-ერთი სპეციალური სახეა ეკოლოგიური ტურიზმი და მისი მნიშვნელობა მასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს კულტურულ ტურიზმს, სათავგადასავლო ტურიზმს, საგანმანათლებლო ტურიზმს და სხვა.

საერთაშორისო ტურიზმის განვითარებაში ეკოტურიზმი ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული და განვითრებადი მიმართულებაა.

ეკოტურიზმის ძირითადი არსია ბუნებაში ყოფნა, მოვლენების შესწავლა, აქტიური დასვენება და გარემოს ხარისხობრივი განვითარების ხელშეწყობა.

სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ეკოლოგიური ტურიზმის ზრდის მაჩვენებელი, როგორც შემოსავლების ასევე ტურისტების რაოდენობის თვალსაზრისით გაცილებით მაღალია ვიდრე ტურიზმის სხვა სფეროებში.

ეკოლოგიურ ტურიზმში ყოველწლიური მატება მყარია და იგი 25-30%-ს აღწევს, მაშინ როდესაც ერთიანობაში აღებული საერთაშორისო ტურიზმის ზრდის ტემპი 6-7%-ს შეადგენს.

დღეისათვის ეკოტურიზმის განვითარებისათვის განსაკუტრებით დიდ როლს ასრულებს სახელმწიფო თავისი პოლიტიკით, რომელიც ინფრასტრუქტურის მოწყობას მოიცავს, რომლის განვითარება ძირითადად XX საუკუნეს 80-იანი წლების დასაწყისიდან დაიწყო. მისი მთავარი მიზანია ბუნებაში ფეხით სიარული, თხილამურებით სრიალი, გამოქვაბულების მონახულება და სხვა. ე.ი. ეკოტურიზმი ითვალისწინებს ბუნებაში დასვენებას და მასზე ზრუნვას. ეკოტურიზმი ძირადად ეროვნული პარკებითაა წარმოდგენილი. ამ მხრივ მსოფლიოში ყველაზე მეტად აფრიკა, აშშ და კანადა ლიდერობს.

2002 წელი გაეროს გენერალურ ასამბლეას ეკოტურიზმის საერთაშორისო წლად ჰქონდა გამოცხადებული. ამ პერიოდში დაახლოვებით 54 ქვეყანამ შეიმუშავა ეკოტურიზმის განვითარების ეროვნული სტრატეგია.

ეკოტურიზმის პრინციპები დაფუძვნებულია საზოგადოების მისწრაფებაზე რათა მიაღწიოს ტერიტორიების ხარისხობრივ განვითარებას, შეინარჩუნოს საციალურ-კულტურული მრავალფეროვნება და სხვა.

ეკოტურიზმის სახეობები შეიძლება შემდეგნაირად დავაჯგუფოთ: სამეცნიერო, შემეცნებითი, სარეკრეაციო ეკოტურიზმი, ტურიზმი ბუნებაში, სარეაბილიტაციო ტურიზმი, აგროტურიზმი და სხვა.

აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ეკოტურიზმი არის ბუნებაში ორიენტირებული ტურიზმი. ე.ი. ეკოტურიზმის სახეობების მრავალფეროვნება შეიძლება ორ ძირითად მიმართულებად დავყოთ:

1. ეკოტურიზმი დაცული ტერიტორიების ფარგლებში
2. ეკოტურიზმი დაცული ტერიტორიების ფარგლებს გარეთ.

აქ გამოყენებულია დასავლეთ-ევროპული (გერმანული) მოდელი და იგი ეკოტურიზმის სახეობების ფართო სპექტრს მოიცავს.

2002 წელს ჩატარებულ მსოფლიო ეკოტურისტულ სამიტზე მიღებული იქნა კვების დაკლარაცია, რომელიც შეიცავს სხვადასხვა ქვეყანაში ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების განკუთვნილ რეკომენდაციებს.

ე.ი. ეკოლოგიური ტურიზმის ობიექტი შეიძლება იყოს როგორც ბუნებრივი, ისე კულტურული ღირსშესანიშნეობები. ბუნებრივი ლანდშაპტები და სხვა. ამ შემთხვევაში აღსანიშნავია, რომ ტრადიციული კულტურა გარემოსთან ერთ მთლიანს, შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

ცნობილია, რომ საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას განსაზღვრავს ტურიზმის სახეების მრავალფეროვნება. ესენია: ეკოლოგიური ტურიზმი, კულტურული ტურიზმი, საქალაქო და სასოფლო ტურიზმი, სათავგადასავლო ტურიზმი, ღვინის ტურიზმი, აგროტურიზმი, სამკურნალო ტურიზმი,საგანმანათლებლო (საკონვენციო) ტურიზმი და ბოლოს ტურიზმის ახალი მიმართულება, რომელსაც საფუძველი

ჩაეყარა XX საუკუნის 90-იან წლებში და რომელიც დღესაც წარმატებით ხორციელდება ესაა კოსმოსური ტურიზმი.

.დღეისათვის საქართველოში ეკოტურიზმის განვითარების კარგი პერპექტივებია, რაც მრავალი ფაქტორითაა განპირობებული. კერძოდ, ბუნებრივი ლანშაპტების დიდი მრავალფეროვნებით, სხვადასხვა კლიმატური პირობებით, კულტურული ძეგლების რიცხვით და სხვა.

როგორც ცნობილია საქართველო ტერიტორიით და მოსახლეობის რაოდენობით ევროპის პატარა სახელმწიფოებს მიეკუთვნება, მაგრამ ქვეყანაში მაინც სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს ტურისტული მიმართულებით განვითარება, რასაც ადასტურებს ტურიზმიდან შემოსავლების ზრდა. 2017 წელს იანვარ-თებერვალში ტურიზმიდან შემოსულობამ შეადგინა 2 მილიარდი დოლარი, რაც ტურისტული პოტენციალის მზარდ მაჩვენებელს უკავშირდება. ამიტომ საქართველო ათ საუკეთესო მოსანახულებელ ქვეყნებს შორის 2013-15 წლებში მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა და მოხსენებულია თურქეთისა და ბრაზილიის შემდეგ. ეს კი საქართველოს სტიმულს აძლევს მომავალში ყველა წინააღმდეგობა გადავლახოთ და ფართო მასშტაბით განვავითაროთ შიდა და საერთაშორისო ტურიზმი საქართველოში.

დღეისათვის კომპიუტერული ტექნოლოგიის და ავტომატიზაციის ფართოდ დანერგვის საფუძველზე ტურიზმი საერთაშორისო სფეროდ გადაიქცა.

კულტურული ტურიზმი მოიცვს ტურიზმის ყველა იმ მიმართულებას, რომელიც დაკავშირებულია ერის ისტორიის, კულტურის, მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის პოპულარიზაციასთან.

კულტურული ტურიზმისათვის განსაკუთრებით დამახასაითებელია ფართო მოცულობის შემეცნებითი ტურიზმის ორგანიზება.

კულტურული ტურიზმის პროგრამას ორი ძირითადი ასპექტი განსაზღვრავს: 1. კულტურული ტურიზმის ეკონომიკა და 2. შინაარსობრივი.

დღეისათვის სახელმწიფო ორგანოები ფართოდაა ჩართული ტურიზმის და განსაკუთრებით კულტურული ტურიზმის განვითარების მიმართულებით, რომელთა გავრცელება საინფორმაციო საშუალებებით და რეკლამებით მიმდინარეობს.

საქალაქო და სასოფლო ტურიზმი ცნობილია, რომ დღეისათვის მსოფლიო მოსახლეობის ნახევარი ცხოვრობს ქალაქში, რაც გამოწვეულია ქალაქის კულტურული დონის სწრაფი განვითარებით. ხოლო სასოფლო ტურიზმი წარმოადგენს სოფლის განვითარების კარგ შესაძლებლობას. იგი მოიცავს ქალაქიდან ჩასული მოსახლეობის დასვენების, გაჯანსაღების შესაძლელობებს. ამასთანავე იგი არის დამხმარე ეკონომიკური, ბუნებრივი, კულტურულ-ისტორიულ რესურსებზე დაფუძვნებული სექტორი, რომელიც ხელს უწყობს ქალაქში მუშაობით დაღლილ მოსახლეობას მშვიდ გარემოში გართობას, სუფთა ჰაერის სუნთქვას, ლამაზი ბუნებრივი რესურსების დათვალიერებას და სხვა.

სათავგადასავლო და ღვინის ტურიზმი სათავგადასავლო ტურიზმს უწოდებენ მოგზაურობას, გადაადგილებას აქტიური საშუალებების გამოყენებით (სხვადასხვა სახის ტრანსპორტი, ცხენები, აქლემები, სპილოები, ველოსიპეტები და სხვა.) ტურიზმის ეს სახე შეიძლება გავაერთიანოთ აქტიურ დასვენებასთან, სპორტთან და ექსტრემალურ ტურიზმთან, ამასთანავე სათავგადასავლო ტურიზმი შეიძლება დავყოთ 2 ნაწილად: სათავგადასავლო სპორტი და სათავგადასავლო მოგზაურობები.

ღვინის ტურიზმი – ღვინო უძველესი დროიდან ითვლებოდა ღმერთისაგან ბოძებულ საჩუქრად, მას ძველად ექიმები იყენებდნენ ფარმაკოლოგიაში, დღესაც ჩვენი მედიცინა ცნობოს ღვინის სამკურნალო თვისებებს ზომიერების ფარგლებში.

ლეგენდის მიხედვით ღვინის წარმოება პირველად დაიწყო ევროპის ტერიტორიაზე კუნძულ კვიპროსზე. ამიტომ ყოველი წლის სექტემბერში კვიპროსში იმართება ღვინის ფესტივალი, რომელიც 10 დღის განმავლობაში გრძელდება. ისტორიკოსთა დიდი ნაწილი თვლის, რომ ღვინის პირველი რეგიონი არის მდ. ნილოსის და სპარსეთის ყურეს შორის მდებარე ტერიტორია, რომელიც თარიღდება ჩვ.წ.აღ-მდე 4000-3000წწ. აქედან მოხდა შემდგომი ღვინის წარმოების ტექნოლოგიის გავრცელება ევროპაში და ხმელთაშუაზღვისპირა რეგიონებში.

დღეისათვის უნგეთი, საფრნგეთი, გერმანია, იტალია და სხვა ევროპული ქვეყნები ამაყობენ თავიანთი ღვინის ისტორიით.

2017 წლის მონაცემებით ღვინის წარმოებით პირველ ათეულში გაერთიანებული არიან: საფრანგეთი, იტალია, აშშ, ავსტრალია, გერმანია, არგენტინა, ჩინეთი, სამხრეთ აფრიკა, უნგრეთი, პორტუგალია ხოლო ღვინის მომხმარებელი პირველი ათეული ქვეყნებია: საფრანგეთი, იტალია, ლუქსემბურგი, პორტუგალია, ხორვატია, შვეიცარია, ესპანეთი, არგენტინა, საქართველო, უნგრეთი.

საქართველოში დღეისათვის 500-ზე მეტი დასახელების ჯიშის ყურძენია გაშენებული. ყურძნიდან მიღებული ღვინის რეალიზება გამოიწვევს პერსპექტიული ბიზნესის განვითარებას და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზეც საგრძნობლად აისახება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მ.ბლიაძე, ნ.ბლიაძე - მენეჯმენტი და საერთაშორისო ტურიზმი თბ.2020
2. ყორღანაშვილი ლ. საერთაშორისო ტურიზმი თბ. 2012წ
3. მეტრეველი მ. ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის საფუძვლები თბ.2011
4. მეტრეველი მ. გარემო და ეკოტურიზმის მენეჯმენტი. თბ. 2011
5. Сенин В. А. Организация международного туризма. М. "Экономика". 2005
6. Александрова А. Ю. Международный туризм. Учеб. М. 2004
7. KKotler, Keller Designing and Managihg Servise Pearson Prentice Hall, Singapore, 2006
8. .Melisidou S, N. Theocharis, Service Quality, Customer Satisfaction and Cudtomer Retention in the hospitality industry: Keys to achieve tourizm growth, Greece, 2009.

Employment in tourism

Murman Bliadze, professor
Georgian Technical University

Murman Bliadze, master
Georgian Technical University

Summary

In any tourism service, your future activity includes serving people, you can get a job from different sources, inparticular, it is possible to post a job advertisement on the board about the vacancy or be published on the Internet page. Post an ad on a newspaper page and finally through personal contact. It is not enough to just announce a vacancy and apply for a job, you need to go through a special interview, in addition to all the important issues of hiring and interviewing, attention is paid to the aesthetic appearance of the person. The employer is mainly looking for employees who think about long-term careers and not for lucrative offers while also focusing on people skills and a desire to join the company's service strategy. At the time of employment the owner inevitably assumes a profit in the business.